# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №512

**2025 წლის 21 ნოემბერი**

**ქ. თბილისი**

**თბილისის, გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიის ნაწილისთვის განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის სტატუსის მინიჭების თაობაზე**

**მუხლი 1**

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, თბილისის, გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ამავე მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ნაწილებს, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ფაქტორებიდან გამომდინარე, მიენიჭოს განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის სტატუსი ამ დადგენილების დანართ №1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დაევალოს:

ა) ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული ფაქტორების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი კვლევების საფუძველზე, განაშენიანების გეგმ(ებ)ის ან/და განაშენიანების დეტალური გეგმ(ებ)ის შემუშავება და დამტკიცება;

ბ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განაშენიანების გეგმ(ებ)ის ან/და განაშენიანების დეტალური გეგმ(ებ)ის შემუშავებისას, ამავე დადგენილების დანართ №1-ით წარმოდგენილი განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის გარე კონტურის კორექტირების, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო წინადადების წარმოდგენა.

**მუხლი 3**

თბილისის, გარდაბნისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებს ეთხოვოთ, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისი ქმედებების განხორციელება ამ დადგენილების შესრულების მიზნით.

**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**